№ 21

ფასი 15 მანეთი

დაარსების წელიწადი მეათე, გამოცემის მერვე

გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას თავისუფალ საქართველოში!
გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

# „თეატრი და ცხოვრება“

წლიურად 500 მან., ნახევარი წლით 300 მან. თითო ნომერი — 15 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის № 20 ქართ. ბეჭდვითი ამხ სტამბაში, რუსთ. № 26 ფოსტით: თბილისი, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“ იოსებ იმედაშვილს. ტელეფონი № 4—73.

სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივ შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი.

დაარსდა 1910 წ. კვირა, თიბათვის 13 გამოცემა 1920 წ.

## დღეს არტისტიულ საზ-ის თეატრში „თეატრი და ცხოვრება“-ს საღამოა

F 927



მ. ნანობაშვილი

საოპერო მსახიობ-მომღერალი. მისი ბენეფისის გამო სახელმწიფო თეატრში ივნ. 15-ს.



ვასილ ილიას-ძე რცხილაძე



სვიმონ კლდიაშვილი

(იხ. ამავე ნომერში 13 გვ. სამგლოვიარო ფურცელი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს, კვირას, ივნისის 13

„არტისტიულ საზოგადოების თეატრში" გაიმართება ჟურნალ

**„თეატრი და ცხოვრება"-ს** ათი წლის არსებობის აღსანიშნავი **საზეიმო საღამო**

(დაწვრილებით იხ. განცხადება 16 გვ.)

# სადღეისოდ

### ათეული

ვიდრე მინდვრის მუშა ერთ ათეულ ყანას გამოშკიდეს, ბევრი შრომა უნდა: ხვნა, თესვა, ფარცხვა, მორწყვა, მარგვლა, მომკვა. . მომკის ყანას, ძნას შეკრავს, ათეულს დასდგავს, წელში გასწორდება და ერთს თავისუფლად ამოისუნთქავს, თვისი ნაშრომით ნასიამოვნები...

ჩვენმა თეატრი და ცხოვრება -მ, რომელიც ამ ათის წლის წინად მოევლინა ჩვენს შავბნელით მოცულ ცხოვრებას, ბევრი დაბრკოლება გამოიარა, ბევრი გაჭირვებული დღე ჰნახა, შეიძლება გახურებულ მუშაობაში ზოგჯერ ჩაიჩოქა კიდეც, მაგრამ მაინც დღემდე მოაღწია: დადგა ერთი ათეული და, არ დავფარავ, სიამით ყელმოღერილი გასცქერის შავბნელ წარსულს..

თუმცა ჩვენის მწერლობის, ხელოვნებისა და საზოგადოებრივ ცხოვრების ასპარეზზე ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი...

ჩვენი ერი ტყვე იყო უცხო ძალისა. ინტელიგენცია, მოწინავე წოდების უმრავლესობა გარუსეთუმებული, დაბიო ხალხი—გონებრივ სიბნელეში ჩაფლული, თავისთავის უარმყოფელი.. მართალია ეროვნულ-საზოგადოებრივ საქმის მოკიქულ-წამებულნი გვყავდენ, მაგრამ ერის მთლიანობის ძარღვის ცემა მაინც სუსტი იყო...

მშობელი ქვეყანა, ქართული ენა-მეტყველება, ეროვნული ხელოვნება, არარად იყო ქმნილი: ჩვენს ეროვნულ დროშას, სცენაზე გამოტანილს, როგორც ისტორიულ ნაშთს, დასცინოდენ... „ქართველობა", „ქართველური" და „მშობლიური" უცხოსაგან ფეხ-ქვეშ იყო გაქელილი, შინაურისაგან—აბუჩად აღებული!..

ასეთი დრო იყო მას ჟამსა შინა, ოდეს ჩვენმა ჟურნალმა ფეხი აიდგა და, შეძლებისა და კვალად, ემსახურებოდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყინულის გალხობას...

დღეს უფრო ნათელ დღეს ვსჭვრეტთ: დამოუკიდებელი სამშობლო გვაქვს, საკუთარი ხალხური მთავრობა გვყავს, თვით ხალხი თავისი სისხლით იცავს სამშობლოს თავისუფლებას და, მაშასადამე, ეროვნულ მწერლობა-ხელოვნების თავისუფლად განვითარებასაც, სახალხო თეატრი ფრთას შლის და ხელოვნება საზეიმოდ ემზადება.

და ამაზე მეტი ბედნიერება განა კიდევ შეიძლება!

გვენატრებოდა და ვეღირსეთ!

და დღეს მეორე ათეულის დასაწყისში ერთი საწადელი-ღა გვაქვს: ხელოვნება-მწერლობის და საერთოდ განათლების სხივის ჩვენის ქვეყნის ყოველ კუთხეში შეტანა-გავრცელება, რათა მთელი ქართველი ერი, საქართველოს ყოველი მკვიდრი გაერთსულოვანდეს, რომ დედა-სამშობლოს ეროვნულ საკუთხეველის დასაცავად მუდამ თავგამოდებით იბრძოდეს.-.

აქვე მოვუწოდებთ ჩვენის ჟურნალის ყველა თანამშრომელს, ყველა მკითხველს, ხელოვნების ყველა ქომაგს, მთელ ქართველ ერს!..

და მე მწამს მეორე ათეულს ჩვენ დავსდგავთ ხელოვნება-კულტურით აღორძინებულს და ეროვნულად განმტკიცებულს ჩვენს თავისუფალ სამშობლოში!..

სალამი და ულრმესი მადლობა ყველა იმათ, რომელთაც განვლილ ათის წლის განმავლობაში ამ ჟურნალის გამოცემა შეგვაძლებინეს...

### ძველი ცოდვა

და თუ გვინდა ჩვენი მუშაობა უფრო ნაყოფიერი იყოს, მაშინ მთელი ერი უნდა განთავისუფლდეს ძველის ცოდვებისაგან.

რა არის ეს ძველი ცოდვები?

მოგეხსენებათ ძველ საქართველოში ხშირად სხვადასხვა კუთხის ერისთავ-მთავარნი ურთიერთას ექიშპებოდენ, ხშირად მეფესაც-კი წაედავებოდენ ხოლმე, და ოდეს იძლეოდენ, ე. ი. დამარცხდებოდენ, უცხო ქვეყნისკენ გაიქცევოდენ და უცხო ძალის მოწვევით შეებმოდენ მშობელი ქვეყნის ხალხის ნდობით აღჭურვილს მთავრობასა და ჯარს... ~~თანაც ქვეყნის თვალით ასახვად გაიძახო-~~დენ: ჩვენ ბეჩავი ხალხის დახსნა გვინდა, ერის გაბედნიერებაო!

ზოგჯერ გაბრიყვებული ხალხი ასეთ მახეში ებმევოდა ხოლმე და იდგა სისხლის გუბეები... ქვეყანა ცეცხლსა და სისხლის ნიაღვრებს მიჰქონდა...

ის იუდა ისკარიოტელი-კი, უცხო ძალით წელმომაგრებული თავისიანებში თუ უცხოებში მუდამ მეფურ ხალათით დაიარებოდა, ქადა-ნაზუქით გამაძღარი ...

ოღონდ ჩვენი ქვეყანა დამხობილიყო და უცხონი არავითარ ძალას არ ზოგავდენ!..

ასეა დღესაც...

ეს ისტორიული ცოდვილები დღესაც წამოიშალნენ არა ერის თავ-მთავრობით, არამედ პარტიულობით: აქაო და ჩვენმა ბოდვამ ვერ გაიმარჯვაო, აქაო და მშობელმა ხალხმა ზურგი გვადრიკაო, უცხო ძალის დახმარებით ცდილობენ ჩვენი ეროვნული ცხოვრების დამხობას, ხალხის სისხლში ამოხრჩობას ჩვენის ხელოვნებისა და კულტურის განიავებას!.

მათ ერთი აზრი ამოქმედებთ: შურისძიებით, ქინინობით დაამხონ თვისი გუშინდელი ამხანაგები, რომელნიც დღეს ერს სათავეში უდგანან და წინ უძღვიან; ოღონდ ეს მოხდეს, თუნდ ქვა-ქვაზედაც ნუ დარჩებაო .. უცხოს კი ის ენატრება, რომ ეს სამოთხის დარი კეკლუცი ქვეყანა—ჩვენი სამშობლო საქართველო, ფეხ-ქვეშ გაქელოს და ისევე დაიმონავოს, როგორც ას ჩვიდმეტი წლის განმავლობაში ჰყავდა...

მაგრამ სცდებიან ეს იუდა-ისკარიოტელნი, მშობლის ძუძუების დამჭრელნი და სხვათა დამონავების მოტრფიალე უცხო მგელ აფთარნი! .

დღეს უკვე ქართველმა ხალხმა გამოიღვიძა და მამულსა თვისსა საკუთარის სიცოცხლის განწირვით სდარაჯობს!

ოღონდ ამ ხალხმა უნდა კარგად იცოდეს გველის საქციელი: ერთხელ გველმა ტყავი გამოიცვალა და გლეხთან შეცოდა, შენი სიკეთე მინდაო, უბეში ჩამიწვინეო, ნამდვილად კი გლეხის დაშხამვა უნდოდა...

დღეს ასეთი გველები ბევრნი დასისინებენ ჩვენში — მწერლობაში, საზოგადოებაში, ჯარში, დაბა-სოფლებში და ქალაქებში!..

ფრთხილად და ფხიზლად ძმებო: ვინც რა უნდა გითხრათ, მოისმინეთ, მაგრამ ერთი კი გახსოვდეთ: სამშობლო მიწა-წყალი, საქართველოს თავისუფლება, თქვენი ცოლშვილი და მამა-პაპეული კარმიდამო!..

იცოდეთ, თუ ტყავ-გამოცვლილ გველს მიენდენით, დაიშხამებით!.. ნუმც იქნების ესა! მტკიცედ მივეყუდნეთ ურთი-ერთს, სამშობლო ქვეყნის დამოუკიდებლობა გულში ხატად ჩავიხუტოთ, მისი თავისუფლება ყელს ავგაროზად ჩამოვიკიდოთ და თუ ის — სამშობლო ჩვენი იცოცხლებს, ჩვენც მუდამ ვიცოცხლებთ!

დღეს საქართველოს ყოველის მხრივ კიდევ შემოუტია მტერმა; გარედან რომ ვერაფერი დაგვაკლო ამ ორი წლის ბრძოლით ახლა შიგნიდან უნდა ციხე გაგვიტეხოს!.. შურით და ქინით დაბრმავებულთ კიდევ სურთ ციხის კარი გაუღონ მტერს და ვინძლო არ მოსტყუვდეთ!

მამულის ორგულს სიკვდილი, ერთგულს დღეგრძელობა და გამარჯვება! **იოსებ იმედაშვილი**

# ოპერა თბილისში

მეფის მოადგილე გრ. ვორონცოვი (1844 54 წ.) დიდ ყურადღებას აქცევდა თეატრს. 8 თებერვალს 1846 წ. ვორონცოვი სწერს სახელმწიფო თეატრების დირექტორს გედეონოვს: „თბილისში ჩამოსვლისთანავე მივაქციე ყურადღება იმას, რომ ქალაქში თეატრი არ არის. თეატრი თბილისში საჭირო არის, და ძლიერ სასარგებლო“. სტავროპოლიდან გამოწვეული იყო დრეისიგის დასი. თეატრი მოეწონა საზოგადოებას. „თეატრი ყოველთვის სავსე იყო, ყოველდღიური შემოსავალი ჩინებული; სჩანს საჭირო არის კარგი თეატრი და კარგი დასი.“

ვორონცოვი დიდ მნიშვნელობას აძლევს თეატრს. თეატრის საშუალებით ადგილობრივი საზოგადოება, ვორონცოვის აზრით, ესთეტიურ სიამოვნებას მიეჩვევა, გაიწრთვნება მისი გემო; ამას გარდა რუსის მოხელეებს გასართობი მოეპოვება. ვორონცოვი ფიქრობს, რომ თეატრის საშუალებით გავრცელდება **რუსული ენა**, თეატრი მიაჩვევს საზოგადოებას **რუსული ენის** ხმარებას.

ვორონცოვმა შეუწყო ხელი დრამატიული თეატრის მოწყობას, ვორონცოვი დიდ მფარველობას უწევდა გ. ერისთავს. 1850 წ. 4 იანვარს ვორონცოვი დაესწრო პირველ წარმოდგენას გ. ერისთავის კომედიას „გაყრას“ და ქებათა-ქება შეასხა ავტორს.

ვორონცოვი ხელს უწყობდა არა მარტო დრამატიულ თეატრს, ვორონცოვის მეოხებით თბილისში მოეწყო ოპერა. დრამატიული თეატრის დანიშნულება იყო ერთი სახის, ოპერის სულ სხვა საქმე ქონდა დაკისრებული.

ვორონცოვმა თბილისში ჩამოსვლისთანავე მოაწყო სასახლე. სასახლის კარები ღია იყო საქართველოს ბურჟუაზიისათვის; ბურჟუაზია მცირე რიცხოვანი იყო, მართალია, მაგრამ ჩანასახი მისი უკვე იყო. ვორონცოვმა გარშემოიკრიბა ბრწყინვალე მოწინავე წოდება. სასახლეში მუდმივ იმართებოდა ზეიმები, ამ ზეიმებზედ თავს იყრიდენ არა მარტო უმაღლესი წარმომადგენელნი რუსეთიდან ჩამოსულნი მართველნი მოხელენი, არამედ ქართველი თავად-აზნაურობა და სომხის ბურჟუაზია. სტუმრის მოყვარული ვორონცოვი, დარბაისელი დიასახლისი ხელ-გაშლილი ეგებებოდა საზოგადოებას. ძლიერ მდიდარი და შეძლებული ვორონცოვი არაფერსზოგავდა, რომ ბრწყინვალეთ მოეწყო სასახლის ცხოვრება. ვორონცოვის სასახლეში პირისპირ წარსდგა ორი კულტურა რუსეთის, ვორონცოვის არსებაში გაჯადოებული ინგლისის და ევროპის კულტურასთან (ვორონცოვი იყო აღზდილი ინგლისში, შეთვისებული ქონდა ინგლისის და საერთოდ ევროპის კულტურა) და ჩვენი კულტურა. ვორონცოვი ფიქრობდა, რომ ამ ნაირად ის დაუახლოვებს ადგილობრივ საზოგადოებას ახალ უცნობ კულტურას. ვორონცოვი იმედოვნებდა, რომ საბოლოოდ ქართველი საზოგადოება **დაივიწყებს** თავის წარსულს და სავსებით შეითვისებს უცხოელ კულტურას და გაამაგრებს რუსეთის გავლენას. ვორონცოვმა თავის მიზანს მიაღწია. ის ბრწყინვალე თავად-აზნაურობა, ბატონები საქართველოს გლეხების, დაეწაფა და გაეშურა მეფის მოადგილის სასახლეში და ბევრი რამ შეითვისა და ზურგიც უქცია ეროვნულ კულტურას და წარსულს. თავად-აზნაურობა ვერ გასწვდა იმ ხარჯებს, რომელიც საჭირო იყო ცხოვრების ახალი პირობებისათვის. თავად აზნაურობა დააწვა თავის ყმებს და ამოიღო რის ამოღებაც შეიძლებოდა. თავად-აზნაურობა დაეწაფა სამსახურს, ვორონცოვმა ხელი მოუმართა მხურვალით. დაიახლოვა თავად-აზნაურობა და მოაწყო კარგი განწყობილება.

სასახლის ბრწყინვალე ცხოვრების და გასართობების დანართი იყო **ოპერა**. ვორონცოვმა მოაწყო ოპერა საქართველოს არისტოკრატიისათვის. ქართული საზოგადოება არ იყო ჩვეული ევროპის მუსიკას. იმ დროისათვის ოპერა ფუფუნება იყო. ვორონცოვის ამალისათვის კარგი გასართობი იყო. ოპერა აჩვენა ვორონცოვმა განსაკუთრებით თავის სასახლის კარის-კაცებს. ოპერას მუდმივ ესწრებოდა ვორონცოვი, მის გარშემო ტრიალებს რუსის მოხელეები და ჩვენი თავად-აზნაურობა. ვორონცოვის ლოჟა თეატრში ოპერების წარმოდგენის დროს პატარა დარბაზია, სადაც იკრიბებიან ვორონცოვის კარის კაცები. თბილისში იყო 1852 წ. იტალიის ოპერა. ოპერები იტალიელთა ენაზე იყო. 9 იანვარს 1852 წ. წარმოადგინეს **„ნორმა“**. წარმოდგენა ჩინებული იყო. ოპერა მშვენივრად იყო მოწყობილი. გუნდს შეადგენდენ ვორონცოვის კარის-კაცები და უხლოესი მოხელეები, სხვათა შორის გრაფი სოლოგუბი, თავადი ნიკ. დონდუკოვი. ოპერამ დიდი აღტაცება გამოიწვია. ვიცით არტისტების გვარები: მინოცი, ბარბიერი, ფისკეტი, ვილა. 31 იანვარს წარმოადგინეს „ლიუკრეცია ბორჯია“. წარმოდგენებს ესწრებოდა დიდი საზოგადოება, რომელიც გატაცებული იყო ოპერით. წარმოდგენები ხშირად იმართებოდა. *)

პროფ. **ხ. ავალიანი**

---

*) იხ. ჩემი რედაქტორობით გამოცემული **Изъ Архива К. Э. Андреевскаго. Записки Э. С. Андреевскаго; т. I—III, Одесса 1913—1914 г.** ანდრეევსკი ვორონცოვის დროს მსახურობდა თბილისში. მას დარჩა დღიური რომელშიც აუარებელი ცნობები არის თბილისის ცხოვრების შესახებ. მე 50 წ თბილისისათვის ბევრი რამ არის საყურადღებო. ანდრეევსკი იცნობდა ჩვენს ცხოვრებას, განათლებული კაცი იყო. მისი დღიური საყურადღებო ისტორიული მასალა არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნოე ჩხიკვაძის ხსოვნას

ადრე დაეცა ცხოვრებისგან გულგანგმირული,
ვერ დაამთავრა დაწყებული ყოფნის სიმღერა,
ვიდოდა სოფლად ავი ხვედრით გაწამებული,—
მაგრამ წარმტაცად მისმა ჩანგმა მაინც იჟღერა. .

ხალხს დაჯაბნებულს უყიოდა, ბრძოლად იწვევდა,
მისი ჰანგის თქმა რისხვა იყო აზავთებული,
არ უდრკებოდა ბედის ქადილს, წინ, წინ იწევდა,
და გადალახა გზა ეკლითა გარემოცული...

მაგრამ სიკვდილმა არ დაინდო ამაყი შვილი,
ბასრი მახვილი გულში დასცა... დაასამარა...
დადუმდა ბაგე... შესდგა ლტოლვა... ძლევის ყივილი..
შავმა საფლავმა საუკუნოდ დაქვესკნ-დაფარა...

ადრე დაეცა!.. გამტყდარ ჩანგზე დასწყდა სიმები...
ცა სხივგაშლილი აწ იმისთვის აღარ ინათებს,
მაგრამ უკვდავი მისი ნიჭი, მისი ლექსები,
მას ობოლ საფლავს გააშუქებს... გააჩირაღდნებს!..

ბ. პელაშვილი

# შთაბეჭდილებანი

როდესაც პირველად შევედი იმ დიდ დარბაზში, რომლის კედლები დაფარული იყო რუსი ეგზარხოსების სურათებით,—ნამდვილი შიში ვიგრძენი!—რა მსჯიდა, რა მაცოდვილებდა იმის ძიებაში, თუ რომელი მღვდელი უფრო საჭირო იყო, თუ უფრო მავნებელი იქნებოდა სოფლისათვის! რა ეშმაკად მოვედი აქა! ვგმობდი ჩემს თავს და ვუცდიდი...

ეგზარხოსისა და ისიც უცნობი, უცხო ადამიანის შეხვედრა წინად რომ სულ უბრალო რამედ მიმაჩნდა, ეხლა როგორღაც უხერხულად და შემაკრთობელად მეჩვენა.

ასეთი უსიამოვნო გრძნობით ვიყავი, როდესაც გაიღო კარი და მეორე ოთახიდან სამი, პირველი შეხედვით მაინც, ერთნაირად ჩაცმული სასულიერო წოდების ადამიანი გამოვიდა.

ეხლა კი გონება ჩემი ერთმა წუთიერმა ფიქრმაღა შეიპყრო,—ღმერთი ար გამიწყრეს და არ შემცდეს, რომელია მეთქი ეგზარხოსი! და ჩემს იღბალზე თურმე სწორედ იმას მივეგებე და ვეამბორე ხელზე.

მიმიღო ზრდილობით, გამომკითხა საქმე დაწვრილებით, მოიხმო საქმეთა მმართველი, ბევრი ითათბირა და ბოლოს თხოვნის მალე ასრულებას დამპირდა.

მაგრამ, თითქო ეკლებზე ზისო, ისე მემძიმებოდა იქ ყოფნა და მარტო მაშინ ამოვისუნთქე თავისუფლად, როდესაც ქუჩაში გავედი. ხოლო დაპირებული, რასაკვირველია, არ ასრულდა და ამას მე იქვე ვგრძნობდი, საქმეთა მმართველის ცბიერ ღიმილს რომ ვხედავდი ეგზარხოსთან მუსაიფში...

მას შემდეგ განვლო ხანმა, მწარემ და ავად-მოსაგონებელმა. მოჰბეზრდა ჩვენს მფარველს ღვთის-მშობელს ხალხისა და თვის თვალთაგან სისხლის ცრემლების ესოდენ დენა და აგვიხსნა უცხოთა ბორკილები, თავისუფლება დაგვიბრუნა!

შეიცვალა ყველაფერი!

და, აი, ისევ ის დარბაზი! ლამაზი, ფართო, მორთული, აყვავებული ბაღით გარსშემორტყმული, მშვენიერ გადასახედით მდინარისკენ!

საკუთარი კათალიკოსი, გარს შემოსხმული ორიკე სქესის მორწმუნეთა სამშობლოს მოყვარულთა კრებულით, ღმობიერად, გატაცებით ემუსაიფება მათ სარწმუნოების, ეკლესიის მნიშვნელობაზე ხალხისათვის. მჭევრმეტყველად ადარებს ამ საგნის მდგომარეობას ჩვენსა და სხვა განათლებულ ქვეყნებში; აღნიშნავს, თუ რა მაღალ საფეხურზე იდგა ჩვენში სარწმუნოება უწინ და როგორ დაიქვეითა ეხლა ამ ქვეყნებთან შედარებით; თუ რა ჩირაღდანი იყო ეკლესია ჩვენი ხალხის გონებისა და ზნეობის გაბრწყინებაში; რა ღირსეულად მაღლა ეჭირათ ეკლესიის მსახურთ ეს ჩირაღდანი, მაგრამ შავმა დრომ როგორ შესცვალა ბუნება მათი და როგორ დასცა ძირს ხალხზე კეთილი მათი ზე-გავლენა.

ყველანი ხალისით უსმენენ მღვდელ-მთავარს, ჩაფიქრებულან...

გული კმაყოფილებით ტოკავს!

ჩვენს საკუთარ საქმეზე შევკრებილვართ და ვმსჯელობთ. ვზრუნავთ იმ დარბაზში, რომლის კედლებზე გაფენილი, ჩემი ქვეყნისა და ხალხის შესაჭმელად მოვლინებული ეგზარხოსების მრისხანე სურათები რომ შიშსა მგვრიდა!..

საქმის საძირკველიც უკვე ჩაყრილია: დაარსდა წმ. ნინოს საზოგადოება; საზოგადოებას გამამხნევებელი ხმა გასცა ხალხმა. ამას ამტკიცებს ანგარიში ერთი დღით თბილისში შეგროვილი 160,000 მანეთისა საზოგადოების მიზნისათვის.

ყველანი აღფრთოვანებულნი არიან ასეთი შედეგით, ასეთი თანაგრძნობით!

ათვალიერებენ წესდებას მომავალი მოქმედებისათვის. წესდებას განმარტავს საქმის მესაჭე, შორის ქვეყნიდან დაბრუნებული სასულიერო წოდების მამულიშვილი.— ვერავითარ ქადაგებას ვერ ძალუძს ხალხის გულში სარწმუნოების განმტკიცება ისე, როგორც მასში დათესილ კეთილ საქმესა! - ისმის დასკვნა მისი მხურვალე სიტყვისა და, რასაკვირველია, ამაზე ყველანი ეთანხმებიან.

წამოყენებულია რამდენიმე კეთილი, საჭირო საქმე.

— უნდა დაარსდეს ქალაქის განაპირა ნაწილებში იაფ-ფასიანი სასადილო,—წინადადებას იძლევა ერთი.

— მაგის გარდა, უნდა დაარსდეს მუშათა ბავშების თავ შესაფარი.—უმატებს მეორე

მესამე ვრცლად ეხება დამმარხველი ბიუროს დაარსების საჭიროებას.—თუ გამოცდილებით არა, გაგონებით მაინც გაიგონებდით, თუ უმრავლესობის ოჯახში რომელიმე წევრის გარდაცვალების დროს რა უბედურ დღეში არის ჩავარდნილი ჭირისუფალი უფრო იმით, რომ არ იცის მიცვალებული როგორ დაასაფლავოს!

ბიურომ უნდა იკისროს ეს მძიმე, მაგრამ საჭირო საქმე, რომ ყოველი ქრისტიანი მიცვალებული, განურჩევლად მისი შეძლებისა, ფასით თუ უფასოთ, თანაბარად ღირსეულად მიაბაროს მიწასა...

— უნდა მოისპოს როგორმე წმინდა საიდუმლოს, პანაშვიდის, თუ სხვა ასეთი ქრისტიანული წესის მიღებისათვის მოძღვრის ფულის მიცემა ამ წესის აღსრულების დროს. ეს სარწმუნოების შელახვაა მორწმუნესათვის!

უნდა სხვაფრივ იყოს მღვდელი ნივთიერად უზრუნველ ყოფილი. აცხადებს მეოთხე.

— და რომ მას თანაუგრძნოს მღვდელმაც, თვით ის უნდა იყოს მღვდლად შესული—მოწოდებით. ასეთ მღვდელთა კადრის შექმნისათვისაც დასჭირდება წმ. ნინოს საზოგადოებას ფიქრი და ზრუნვა.—ამბობს კიდევ სხვა. ასე იშლება თანდათან ბევრი სხვა კეთილი საქმე მომავლისთვის და კრებულიც იმედით შესცქერის იმათ განხორციელებას.

ღმერთო ხელი მოუმართე!..

დეე, შემოკრბეს მრავალი ერთეული ერთი დასახული მიზნის გარშემო, აღორძინების გზაზე დამდგარი ქვეყნის კულტურის ყოველ დარგში, ერთგულად იშრომოს და იღვაწოს მის განსახორციელებლად ხალხის საკეთილდღეოდ და მაშინ აყვავდება ღვთაებრივი თამარის დროინდებული ჩვენი ტკბილად საყვარელი, ჩვენი კეკლუცი სამშობლო!

ასე ვნატრობდი იმ დარბაზში მყოფი სულის კმაყოფილებით.

**ნინო ყიფიანი**

# უსინათლოს მოთქმა

ვერვინ გაიგებს უსინათლოს ტანჯვა ვაებას;
ისე მოვკვდები, რომ ერთს დღესაც ვერ ვნახამ შვებას;
ტანჯული გული მოუცვია ფიქრს, მწუხარებას,
თვალებზე ცრემლი არ მშორდება, ვლევრი მდუღარებას.

ვინ, ვინ მაღირსებს, რომ გამხადოს ადამიანი,
ერთი დღე ვნახო სიცოცხლეში მხოლოდ მზიანი;
რო მეც ვნახო ჩემი ქვეყნის ცა ზურმუხტიანი,
თუნდ იმ წუთს მოვკვდე ჩავალ საფლავს ხალისიანი...

**ზ. ზემოხანდაკელი**

# მშვიდობით... მაგრამ მაინც მოგელი!

ნ ა რ - შ ი ნ ს

**(გ ა ნ ც დ ა ბ ა თ ო მ შ ი)**

იქ, უდაბნოში, შემხვდი შენ, ყველავ, საცა ეული დავლასლასებდი და ნესტანის ტყვეობით გულ-დაკოდილი გმირებს ვრაზმავდი მის დასახსნელად.

შენ მაშინვე გამომიწოდე ხელი და მზათ იყავ ჩემთან ერთად გეტვირთნა მძიმე უღელი-რა სახითაც იქმნებოდა იგი, რომ საყვარელი ნესტანი ქაჯეთის ციხიდან გაგვენთავისუფლებინა.

ეს იყო თოვლის თვეში.

და გაზაფხულის პირველ სიოს დაბერვისთანავე, მაშინ, როდესაც პირველმა მერცხალმა გვამცნო სითბოს მოახლოება, უდაბნოს ხვეულებში შევსვით ნეტარი გაზაფხულის სადღეგრძელო.

მაგრამ ჭაობში მცხოვრებ ქვეწარმავალთ შეშურდათ ჩვენი ბედნიერება და ამოძრავდნენ, ასისინდნენ და შენი თავი ისე ნაზი, ვითა გედი ტბასთან მცხოვრები, ჩამომაშორეს... ჩამომაშორეს შენი თვალებიც მუდამ სევდის მთოველი.

მშვიდობით ყველავ... მაგრამ მე შენ მაინც მოგელი!

გულდაკოდილმა მოვაშურე ჩემს მშობელ მხარეს, საცა ნესტანი ტყვეობაში სულსა ლაფავდა. [illegible] ხმით მხსნელს ელოდა, მხსნელს უყიოდა... ქაჯების ხელში რა საშინლათ იტანჯებოდა. ავთანდილ-ფრიდონ-ტარიელი თავს ევლებოდნენ, ისინიც მასავით ბასრი მახვილით ისერებოდნენ, მაგრამ ხსნა კი არსაით იყო.

მეც მათ ლაშქარს შევუერთდი მის დასახსნელად... მეც მათთან ერთად დავეძებდი გმირთ და ვუყიოდი, სისხლის ცრემლები დამდიოდა თვალთ და ვიწოდი...

მაგრამ შენი სახე. . ტანჯვით სავსე კვლავ თვალწინ მედგა მტერთა მგმობელი

ახ, ჩემო ღმერთავ, მშვიდობით...

მაგრამ ეს იცოდე: მაინც მოგელი!

—

მინდოდა ერთხელ კიდევ ჩამეხედნა შენსა თვალებში; მინდოდა ერთხელ კიდევ ამომეშრო შიგ ცრემლთა გუბე... და მოგაშურე .. მაგრამ შენ, ახ ზმანებავ, ის აღარ იყავ, რაც დაგტოვე... ავადმყოფ სახეს გადაეკრა დოლბანდი ტანჯვის... თვალებს ლაჟოს ფერს გადაეფარა ბინდი... გულმილეული ჩაიკეცე, მთლად მიილულე.

წამოხტი უცებ და ავადმყოფი ხმით შესაზარათ მორთე ტირილი...

მე მივხვდი ქალო... შენ დაგსერეს, დაგაავადმყოფეს და შენმა კეთილ მოსურნეთ მირჩიეს, მოგშორებოდი, რომ მთლად გაგცლოდი... გამოვეთხოვე ყველა კუნჭულს, წარსულის მოწმეს, შეშლილივით ვიწყე ლასლასი ნაცნობ მხარეს, სამუდამოთ დავტოვე იგი სისხლის მწველი..

აწ კი მშვიდობით ..

ეს კი გრწამდეს: მაინც მოგელი!

**გ. ა—ბელი**

# რაბინდრანათ თაგორადან

მშვენიერო, მხოლოთ ერთის შეხედვით შეგეძლო ამოგეწყურა პოეტების გრძნეულ საკრავებიდან საუნჯე სიმღერებისა... შენთვის ითხზება ჯადოსნური ლექსები და ღვთაებრივი ჰანგები... მაგრამ შენ არც კი იმჩნევ არაფერს... ამისთვის მოვდივარ მე შენდა სადიდებლათ, მშვენიერო ქალო!.. შენ შეგეძლო ერთის ღიმილით დაგეტყვევებია ამაყნი და ძლიერნი ამა ქვეყნისა, მაგრამ შენ მხოლოთ გულის საყვარლებს ირჩევ... რომელთაც არც კი ამშვენებს დადგმის გვირგვინები... ამისთვის მოვდივარ მე შენდა სადიდებლათ, მშვენიერო ქალო...

მარმარილოსავით თლილი, სხივოსანი თითები შენი მეფის ბრწყინვალე სამკაულსაც კი შეჰმატებდა ნათელს, მაგრამ შენ მტვერს აცლი მით შენს მყუდრო ოჯახს...

ამისთვის მოვდივარ მე შენდა სადიდებლათ, მშვენიერო ქალო!..

* * *

დაათავე უკანასკნელი სიმღერა .. დროა განშორებისა... დავივიწყებ ამ ღამეს, დავივიწყებ... რათ ვაფათურებ ხელებს შუაღამისას, რათ?. ნეტა ვინ მინდა მოვამწყვდიო გრძნობათა ბადეში?.. რათ არ ვიცი, ოომ სიზმრების დატყვევება არ შეიძლება, არა... ხარბათ ვიკრავ გულში მხოლოთ სიცალიერეს... ის მიჩენს იარას... ის!..

* * *

ჩამომხსენ ვნების ბორკილები, საყვარელო!.. არ მინდა შენი მწველი კოცნა, არა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძნობათა ჯანყი კეც კეცად აწვება ჩემს გულს!.. განთიადის სხივებით გაარღვიე იგი... ნათელი მოჰფინე ჩემს გულს, ნათელი!.. შენს თვალებში დაიკარგა ჩემი სიცოცხლის ნავი... გამანთავისუფლე ჯალათურ ბრჭყალებიდან, გევედრები!.. დამიბრუნე ყმაწვილური გული, დამიბრუნე... მე მინდა ძლევით მოგართვა იგი...

ლ. ძიძიგური

# პირველი ქართული ოპერა

## „ქრისტინე“ როგორ დაიდგა სახელმწიფო თეატრში?

ქართველ მომღერალთა კავშირის თაოსნობით გასულ კვირას სახალხო სახლში დაიდგა პირველი ქართული ორიგინალური ოპერა „ქრისტინე“.

ამ ოპერას თავის ისტორია აქვს.

„ქართული ოპერა“!. — ამ ორ სიტყვას უკვე მიჩვეულია ქართველი საზოგადოების სმენა.

აგრე არ იყო ამ სამი წლის წინად, როდესაც ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს ფურცლებზე გაისმა ხმა კერძოთ ქართულ ოპერის და საერთოდ ქართულ მუსიკის შესახებ. ეს ამბავი სიცილად არ ეყოთ ჩვენს სკეპტიკებს.

— [illegible]განა აგრე ადვილია ქართულ ოპერის შექმნა?! ეს ხომ დრამატიული პიესა არ არისო. ჯერ რუსეთი აიღეთ. რამდენი ხანი იმეფა იქ ევრო[illegible] ო[illegible]ამ [illegible]ამ გაჩნდებ[illegible]ენ რიმსკი-კორსაკოვ[illegible] [illegible]კორ[illegible] [illegible]თველები ეხლა იწყებენ დამოუკიდებელ ცხო[illegible]ებას [illegible]ა თქვენ კი „დამოუკიდებელი ოპერა გინდათ შ[illegible]ათ[illegible]

აი, რას გაიძახოდნენ ეგენი.

იყვნენ ოპტიმისტებიც, რომელთაც მომღერალ ვარდენ ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით და ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს თაოსნობით დაარსეს ქართველ მომღერალ—მუსიკოსთა კავშირი.

აი ამ კავშირის გამგეობამ ითავა რ. გოგნიაშვილის ოპერა „ქრისტინე“-ს დადგმა.

ხარჯები ნიკ. ქართველიშვილის მეცადინეობით გაიღო ქართულმა კლუბმა ემზადებოდნენ დიდხანს. ამსრულებელნი იყვნენ: ო. კალანდაძე-აგასოვის—ქრისტინე, დათა—კურბატოვი, იასონ — ი. სარაჯიშვილი, მარინე, გოგი და მეძავ ქალთა შემნახველის როლებს ასრულებდა მიხაილოვის ქალი, კინტოები: ნიკოლაძე და მუსიაჩენკო (შარშან გარდაიცვალა), თავადი — დავითაშვილი, სონა — N და სხ. გუნდი განსაკუთრებით კავშირის მიერ იყო შედგენილი. კლუბში ოპერა დაიდგა სამჯერ ნ. ქართველიშვილის ლოტბარობით. საზოგადოება მრავალი ესწრობოდა და დიდად კმაყოფილიც იყო.

ჩვენი ოპერის პესიმისტებმა ეხლა სხვანაირად დაიწყეს სიმღერა პრესაში, რატომ რ. გოგნიაშვილი — ვაგნერი არ არისო და პირველ შემთხვევაში ბარემ რიგიანი ქართული ოპერა დაგვედგაო. მარტო ის ფაქტი, რათაც უნდა ღირს, რომ მონაციონალისტების გაზეთმა „ვოზროჟდენიემ“ ხმაც არ ამოიღო ამ ოპერის შესახებ და როდესაც ცნობილმა მუსიკოსმა ია კარგარეთელმა „ქრისტინე“-ს შესახებ წერილი მიიტანა, ვ. კამსკიმ გაზეთში დაბეჭდვის ღირსადაც არ გახადა. კარგარეთელმა გულწრფელი პროტესტი მიართვა „საქართველო“-ს ფურცლებზე „ვოზროჟდენიის“ პუბლიცისტებს. მხოლოდ ერთად ერთმა იოსებ იმედაშვილმა სალამი უძღვნა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს ფურცლებზე ახალგაზრდა დადევნილ კომპოზიტორს.

რაკი საზოგადოება ასე ეტანებოდა ქართულ ოპერას, ამიტომ გადავწყვიტეთ დაგვედგა სახელმწიფო თეატრში. მაგრამ ბევრი დაბრკოლება გადაგვეღობა წინ. ქართულ ხელოვნების მტერთ რა საშუალებას არ მიმართეს, რომ სახელმწიფო თეატრში არ დადგმულიყო ეს ოპერა. ამ თეატრის კომისარი ა. წუწუნავა მაშინ დახმარებასაც კი გვიწევდა, მაგრამ სამაგიეროდ .. მარტო ორკესტრმა, აქაოდა ათი წუთით დაგვიანდა რეპეტიცია, უმოწყალოდ დაგვაჯარიმა. აფიშები, ქართულ ენაზე მიცემული დასაბეჭდათ, რუსულად დაბეჭდეს. ბევრს ეგონა რუსულად მიდის დრამა „ქრისტინე“-ო. ზოგიერთი მონაწილე შეგვპირდა მონაწილეობის მიღებას, მაგრამ ერთნი ქალაქში არ იყვნენ, სხვებმა, ორიოდე კაცის გამოკლებით, პრეტენზიები განაცხადეს ჯამაგირის მომატებაზე. ამ რიგად აშკარა იყო, რომ ვიღაც ბოროტი ხელი მოქმედობდა.

ამას დაუმატეთ, რომ იასონის ამსრულებელი ივ. სარაჯიშვილი ბრონხიტით ავად გახდა და მის მაგიერ მოვიწვიეთ ტენორი ბერიოზინი, რომელმაც მარტო ერთი რეპეტიცია გაიარა.

წარმოდგენის დღე. საღამოს 8 საათია უკვე. ხალხი არ ჩანს. თურმე ბოროტნი ქუჩებში ჩვენს აფიშების დახევასაც არ მოერიდნენ. ასე რომ ბევრმაც კი არ იცოდა, რადგან გაზეთებმა, ისიც ზოგიერთებმა, მარტო ერთხელ დაგვიბეჭდეს განცხადება.

ბილეთის კასასთან არავინ ჩანდა. უცებ ჩემთან მოირბინა ორკესტრის წარმომადგენელმა და გამომიცხადა: „ხალხი არ ჩანს. ალბათ ოპერა გადაიდება. ეხლავე მოგვეცით ნახევარი, თორემ დავიშლებით. როგორც იყო დავაშოშმინე, ქრთამსაც შევპირდი. გამშორდა, ვიფიქრე მოვიშორე ჭირი. ვხედავ მორბის ვარდენ ლორთქიფანიძე.

— „რაღას უშვრები ვალებს? ხომ ხედავ ჩვენმა მტრებმა გაიმარჯვეს“.

— „ქართველ საზოგადოებას დაგვიანება უყვარს, შეიძლება მოვიდნენ. დავუცადოთ ნახევარ საათს მაინც“.

— „ამას გარდა მონაწილენიც არ ჩანან“.

ამან გული უფრო მომიკლა.

— „რას მოგიყენია სვიმონ?“ მომესმა ხმა. გავიხედე, ჩვენი იოსებ იმედაშვილი თავის ჯოხით და ჟურნალ-წიგნებით.

— „ზარალი!“

— „მერე მაგან დაგაფიქრა! ჩემი მხრივ ვსწირავ ორმოცდაათ თუმანს“.

არ ვიცოდი საწყენად მიმეღო მისი სიტყვები, თუ სასიხარულოდ, რადგან ვიცოდი მისი გაჭირვებული მდგომარეობა.

— „რომელი კომერსანტი შენ ხარ, რომ ამდენ თანხას სწირავ?“

— „ჟურნალის მორიგ ნომრის გამოშვებას გადავდებ. დღევანდელი დღე დღესასწაულია. სახელმწიფო თეატრში ქართულ ოპერის ნახვას ვეღირსეთ, შენ კი დაღვრემილხარ“.

იოსების სიტყვებმა გამამხნევეს. ხალხიც ნელ-ნელა გამოჩნდა. მე გავეშურე კულისებისკენ. ვარდენი გუნდს ეჩხუბებოდა, რატომ მეტი რეპეტიციები არ გაიარეთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**სომეხთა დრამატიულ მსახიობთა ოჯახი**

(ადამიანის გარდაც. 25 წ. შესრულების სახსოვრად. ჟურ. „გელარვესტი" დან)

აქ არიან, სხვათა შორის: ადამიანი, აბელიანი, სირანიუიშ, მაისურიანი, ტერდავთიანი, ალიხანიანი, სევუმიანი (ა. წ. მაისის 10 გარდ. სტამბოლს), ზარიფიანი, მამიკონიანი, გრაჩია, ფაფაზიანი, ამო ხარაზიანი, მანუელიანი, მნაკიანი და სხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ელეონორა

(დასასრული. იხ. „თ. და ც." № 20)

## მოქმედება მესამე

(ციხის ერთი მხარე, მთის მაღლობზე. გადაჰყურებს ქვევით გაშლილ ველ-მინდვრებს. შორით სიღრმეში მოსჩანს მთები და ტყე. ფარდის ახდისას გარიჟრაჟია, ჯერ სიბნელეს არ დაუკარგავს თავისი ძალა. თანდათანობით თენდება, მზეც ამოდის. ფრთხილი ნაბიჯით შემოდიან ასლან გირეი და ისმაილი. ორივე ნაბდებში არიან გახვეულნი. შორიდან ისმის სევდიანი სალამურის ხმა. ასლანის სცენიდან გასვლამდის გრძელდება სალამურის ხმა, თანდათანობით იკარგება სიღრმეში მისი ხმა და ასლანის გასვლასთან ერთად ისიც წყდება).

**ისმ.** მალე სიბნელე გაიფანტება, საჭიროა სიფრთხილე. სწორედ ამ ადგილიდან დაიძვრება ვახტანგის ჯარი.

**ასლ.** (ღრმა ფიქრით) ისმაილ, აბა შეხედე ცას. ხედავ მთვარის ჩამავალ შუქს, როგორ ნაზად კამკამებს სივრცეში.

**ისმ.** გარიჟრაჟი ახლოვდება, მწყემსები აიშალნენ. სალამურის ხმა ისმის.

**ასლ.** ყველა ფრთოსანი განთიადს სიამით მოელის. მზის სხივების ამოსვლას გულის ცემით ელოდებიან, ბუნებაც ცოცხლდება... ყველაფერი საბედნიეროდ ელფერს მიიღებს, თითქოს ყველა არსი იძახის: „ქვეყანა ედემია, დასტკბი სულდგმულო" სიცოცხლის ტკბილი სიმები ყველას გულში წკრიალებს... აქ კი ჩვენი ჯარი სასიკვდილო ხმალს იმარჯვებს, რომ მოწინააღმდეგე შემუსროს.

**ისმ.** დამნაშავე ჩვენ ხომ არა ვართ!

**ასლ.** ვინ იცის, ვინ არის დამნაშავე. (სიჩუმეა, სალამურის კვნესა გლოვის ზარად ჩამესმის!! ისმაილ თითქოს წინასწარ ვგრძნობ, უკანასკნელად ვესალმები ქვეყნის მშვენიერებას. ვინ იცის, რამდენი სისხლი უნდა დაიღვაროს და მერე...

**ისმ.** ბრძოლის წინ ასეთი სულისკვეთება არ არის კარგი. ასლან, ეს შენ არ გჩვევია.

**ასლ.** ღმერთო, ერთი წამის ბედნიერება, მხოლოდ ერთი წამის! ნუ თუ დავიჯერო, ელეონორამ ვერ შემიგრძნო! ისმაილ, შენ თქვი, რომ სულისკვეთება... არა! ელეონორას მოგონება მე ლომად მაქცევს. დაუძლეველია ის, ვისაც მიზნად სიყვარული დაუსახავს.

**ისმ** (უსმენს რაღაცას) აქ, ამ ადგილას, მაღლობზე ელეონორა იქნება.

**ასლ.** ეს არის ის მაღლობი, არა?

**ისმ.** ეს არის, აქედან დაგინახავს, თუ როგორ სისასტიკით შემუსრავ მის დამცველებს.

**ასლ.** და როცა გამარჯვებული გადავეხვევი მას, მაშინ დარწმუნდება როგორ მიყვარს იგი (ასლანს გაიტაცებს შორეული სივრცის ცქერა. სახე ეცვლება).

**ისმ.** (პაუზა) რას უცქერი ასე სახე ალეწილი?

**ასლ.** აი, ეხლა თვალწინ მიდგას ორი მოწინააღმდეგე ჯარის საბედისწერო შეტაკება... მე იქ შუა ბრძოლაში ვარ... ხმალს ვიქნევ, გამხეცებული შეუბრალებლად ვკაფავ ცოცხალ სახეებს. ისმაილ, ნუ თუ ამდენი მსხვერპლის ღირსია ელეონორა?

**ისმ.** ასე ისურვეს! უმანკო სისხლი მათ კისერზე იქნება.

**ასლ.** არა, ისმაილ! მე მინდა თავისუფლად ვიგრძნო თავი. როცა საშინელი ბედის წერა თავის სისხლიან სახეს დაანახვებს ადამიანს, მაშინ ყველა კერპი გული მოლბება. შენ დარჩი აქ, ისმაილ. უკვე თენდება. სადაც არის, ისინი აქ მოვლენ. მათი ჯარიც აიშალა. იცი, ისმაილ, კიდევ ერთხელ მოელაპარაკე მათ, რომ უსამართლოდ სისხლს ნუ დამაღვრევინებენ.

**ისმ.** კარგი, მე აქ ბუჩქებში მივიმალები და როცა მოვლენ, კიდევ ვცდი ბედს, იქნებ უსისხლოდ გათავდეს ყველაფერი.

**ასლ.** ეცადე, ისმაილ, ეცადე! მე წავალ უკანასკნელ შემთხვევისათვის ჯარს მზად ვყოლიებ. (ისმის საყვირის ხმა. სალამური შეწყდება), ჩვენები უკვე აიშალნენ. მე მივდივარ. (ასლანი გადის, ისმაილი მიიმალება ბუჩქებში. ცოტა ხნის შემდეგ შემოვლენ ვახტანგი და ლევანი).

**ვახტ** გული ეხლა ბუდეში მაქვს, მტერი აუცილებლივ დამარცხდება.

**ლევ.** საუკეთესო მთიელი ვაჟკაცნი გმირული სიმამაცით რკალად შემოევლებიან. ელეონორას მშვენიერებას არავის დაუთმობენ.

**ვახტ.** მშვენიერი დილაა! თითქოს ბუნება წინასწარ გვილოცავს გამარჯვებას. შენ რაღაც მოწყენილი ხარ?

**ლევ.** ისე რაღაც მძიმე სევდა გულს მაწევს. მეც ვერ ამიხსნია რა არის.

**ვახტ.** გამარჯვების შემდეგ ყველა ვიმხიარულებთ.

**ლევ.** როცა გუშინ ზეიმი გქონდათ, მაშინ თვალი გადავავლე ვაჟკაცთა სახეებს, გული მომეწამლა: წარმოვიდგინე, რომ ბევრი მათგანი აქ სასიკვდილოდ დაეცემა.

**ვახტ.** ბრძოლაში სიკვდილი სიამაყეა!

**ლევ.** ასე მგონია, ჩვენს ბრძოლას არ ქონდეს საპატიო მიზანი.

**ვახტ.** ეს რა სთქვი? (გამოჩნდება ისმაილ) ეს ვინ არის?

**ლევ.** ლეკია.

**ვახტ.** იქნებ ასლან გირეის ჯაშუშია. გული გაუგმირე.

**ისმ.** შუა კაცს გულს არ უგმირავენ. დაცხრით.

**ვახტ.** შუა კაცის ადგილი უკვე გალესილმა ხმალმა დაიჭირა.

**ისმ.** რომელსაც მრავალის სისხლის შეწირვა მოყვება.

**ლევ.** ჩვენ მზად ვართ.

**ისმ.** ვახტანგ ხელთუბნელო! სისხლს ნუ დაღვრით. ასლან გირეიმ დამაბარა „ჩემს სიცოცხლეში იარაღით ხელში. სამტროდ მოსულს შერიგებაზე ლაპარაკი არ დამიწყვია და ეხლა კი შენი ქალის სიყვარული ამ ჩვეულებას მაცვლევინებსო".

**ვახტ.** თუ ბრძოლა არ გინდათ მშვიდობიანათ გაბრუნდით.

**ისმ.** კარგი, მაგრამ ერთი პირობით.

**ვახტ.** თუ გსურთ, ხალხი გააბრუნეთ, შენ და ასლან გირეი კი სტუმრად მეწვიეთ... ჩემი სახლის კარები ღიაა.

**ისმ.** ხელოუბნელო, შენს მასპინძლობას ვიცნობთ. მხოლოდ დღეს სტუმარ-მასპინძლობაზე ლაპარაკი მეტია.

**ვახტ.** მაშ რა გინდა?

**ისმ.** ასლან გირეი მხოლოდ ერთი პირობით გაბრუნდება.

**ვახტ.** რა პირობით?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ისმ.** თუ თვითონ ქალი მის ცოლობაზე უარს ჰყოფს და ეს უარისყოფა ნებაყოფლობით იქნება.

**ვახტ.** ჩემი ქალი უარს ჰყოფს!

**ისმ.** კარგი, მაგრამ უნდა დავრწმუნდეთ.

**ვახტ.** (სიბრაზით) მე ენაც და სიტყვაც. ერთი მაქვს (სიმშვიდით) მაგრამ ვნახოთ! თავისი ყურებით გაიგონეთ. (პაუზა) თვით ელეონორაც აქეთ მოდის, მოუსმინეთ.

**ისმ.** კიდევ ერთი სიტყვა.

**ვახტ.** ბრძანეთ.

**ისმ.** ასლან გირეი შენს სახლს მშვიდობიანად მოშორდება, მხოლოდ ვინც გინდ შეიქნეს ელეონორას ქმარი, მასთან მტრობას კი არ მოსპობს.

**ვახტ.** ეგ თვისი ნებაა. მე დარწმუნებული ვარ, ელეონორას ქმარი, იმდენადაც გმირი იქნება, რომ თავისუფლად გაუსწორდება. (შემოდის ელეონორა, მკვირცხლი და ამაყი გამომეტყველება აქვს; წინანდელთან შედარებით მეტი მშვენიერი და ლამაზია. აცვია ძვირფასი ქართული ელფერის ტანისამოსი, რომელიც უფრო ალამაზებს).

**ვახტ.** (პაუზა) შვილო, ასლან გირეის კაცი გამოუგზავნია, შენს პასუხს ელის, სთქვი: გიყვარს ლეკი ასლანი თუ არა? (ჩამოვარდება სიჩუმე. ელეონორას ცვლილება დაეტყობა, მაგრამ ურყევი რწმენის ხმით იყვირებს).

**ელეონ.** ძალიან! (ყველა გაკვირვებული მისჩერებიან ელეონორას).

**ვახტ.** (გაოცებით) ელეონორა! რა სთქვი! ხომ არ წაგცდა ეგ პასუხი?

**ელეონ.** (მტკიცედ და მკაფიოდ) არა! მე მიყვარს ასლან გირეი, მიყვარს ძლიერი ნებით და ამის დამალვა საჭიროთ არ მიმაჩნია... მხოლოდ ამასვე დაუმატებ: როგორც არ უნდა მიყვარდეს ასლან გირეი, როგორც არ უნდა ვგიჟდებოდე მე მისთვის, მას არ გავყვები ჩემს უფლისად არ გავხდი.

**ვახტ.** ხომ გაიგონეთ, ბატონო?

**ელეონ.** მოიცა, მამავ, ჯერ არ დამისრულებია.

**ვახტ.** სხვა რაღა გინდა?

**ელეონ.** მე არ მივთხოვდები ასლან გირეის და არც სხვა კაცს, რომელიც სიყვარულს თავის ვაჟკაცობით არ დამიმტკიცებს... ასლან გირეის გარდა კიდევ ბევრი მე მომტრფის, ბევრი ეძებს ჩემს თანაგრძნობას და მათგან ბევრი მომწონს, ძალიან მომწონს... ვისაც ჩემი თავი სურს თითოეულად შეებრძოლოს ასლან გირეის და ვინც გაიმარჯვებს, მხოლოდ ის დამეპატრონება, ის იქნება ჩემი მბრძანებელი.

**ვახტ.** (აოეული) რას ამბობ, რასა?

**ელეონ.** მამავ, ნუ მიშლი! ქვეყნად არ არის ძალა, რომელმაც ჩემი გადაწყვეტილება შესცვალოს. (ისმაილს) შუა კაცო, თანახმა ხარ?

**ისმ.** დიახ, კეკლუცო!.. ასლან გირეი შენი გულისთვის მთელ ქვეყანასაც შეებრძოლება.

**ელეონ.** ლევან, წადი და იქ კარვებში გადაეცი ჩემი გადაწყვეტილება მთიელთა ვაჟკაცთ. და ვისაც მძლავრად ულვივის გულში ჩემდამი სიყვარული, ჩემს აზრს უნდა შეუთანხმდეს წადი, ჩქარა პასუხი, მომიტანე. (ლევანი გადის. სიჩუმეა).

**ვახტ.** შვილო, ელეონორა! მთელი მთა რისხვით წამოვა ჩვენზე. ჯარი ჯარს უნდა შეებრძოლოს, ეს წესია ყველა ომის.

**ელეონ.** არა, მამავ, მე მინდა დავინახო ომი, რომელიც ასლან გირეის დედამიწაზე დაანარცხებს; მე მინდა დავრწმუნდე, თუ რამდენად ძლიერია ჩემდამი სიყვარული მათში; მე უნდა ვნახო სიტყვა — საქმედ ქცეული.

**ისმ.** მე მივდივარ ჩვენ მზათ ვართ ყოველ გვარ პირობაზე. უკან არ დავიხევით, ვნახოთ ვინ გაიმარჯვებს. (გადის).

**ელეონ.** გესმის მამავ? როგორ ამაყად დაგვემუქრა! უნდა დავარწმუნოთ, რომ ასლან გირეი ვერ გაიმარჯვებს ჩვენზე. მითხარი, მამა, ხომ ვერ გაიმარჯვებ?

**ვახტ** (ფიქრის შემდეგ) ვნახოთ ვაჟკაცნი რას იტყვიან! გამარჯვების ბედი მათზეა დამოკიდებული.

**ელეონ.** მთიელნი ჩემს სურვილს ვერ უარყოფენ.

**ვახტ.** რას იზყვის ჯარი, რომელიც მთას იცავს?

**ელეონ.** მე არ მინდა მთის დამცველები, მე მინდა სიყვარულის გუშაგნი, მისთვის თავდადებულნი.

**ვახტ.** (პაუზა) ლევანი მოდის, მთიელი ზურაბი მოყვება. (შემოდიან ლევანი და ზურაბი).

**ელეონ.** (მიაჩერდება ზურაბს) თუ მტკიცე გმირული გადაწყვეტილების მომტანი ხარ, წარმოდექ ჩემს წინაშე, თუარა და უკან გაბრუნდი.

**ზურ.** ასეთს ბუნებაში აღზდილი მთის ვაჟკაცნი არაფრის წინაშე არ მოიხრიან ქედს. მთელს ჯარს თორმეტი ვაჟკაცი გამოვეყავით, რომლის სახეები ისეთი მრისხანე არის, როგორც კლდისაგან მოხეთქილი, აზვირთებული მდინარე; ცეცხლს აფრქვევენ მათი თვალები, რომლებიც მხოლოდ ელეონორას სიყვარულისათვის უცქერიან ქვეყანას; მათი უშიშარი და ბრძოლისათვის გამზადებული გულნი ფეთქენ და ცოცხლობენ ძვირფას ელეონორას ფარად.

**ელეონ.** მესმის გვრგვინვა ვაჟკაცისა, რომელიც მოციქულია სიყვარულისთვის თავდადებულ გმირთა და თქვენივე იქნება ტრფობა ჩემი სულისა შეებრძოლენით ყველა სათითაოდ მთის არწივს. ამ ბრძოლის დროს ყოველ თქვენ მოძრაობას ამ მაღლობიდან სიამით მიაცქერდება ჩემი თვალები და გამარჯვებულს მხურვალეთ ჩაეკვრება ჩემი უმანკო გული.

**ზურ.** ეს იმედი ლომად გვაქცევს ყველას და ასლან გირეის თავს ფეხთა წინაშე გაგიგორებთ.

**ელეონ.** გადაეცი დანარჩენთ ჩემი პირობა.

**ლევ.** (იხედება) ლეკები აიშალენ, ემზადებიან. (ისმის გარეთ ხმაურობა, ძახილი „ელეონორა“).

**ზურ** ვაჟკაცნი ქვევით დგანან, შენს სიტყვის გაგონებას უცდიან, ელეონორა!

**ელეონ.** მე მინდა დავინახო მათი ბრძოლისთვის გამზადებული, მგზნებარე თვალების ციალი. (ზურაბს) წადი, მიდი მათთან. (ზურაბი გადის. ელეონორა წაიწევა წინ და კლდეს გადაადგება. პაუზა) ვაჟკაცნო! ყველა თქვენგანი შემომტრფის და მარწმუნებს, რომ უყვარვარ. არ ვიცი ვის დაუჯერო: ასლან გირეიმ შეურაცყოფა მომაყენა და ვინც მის თავს მომიტანს, მხოლოდ ის შეიქნება ჩემი ქმრობის ღირსი! აბა! ვის უნდა ელეონორა! ვის შეუძლია მისთვის თავის დადება!? სცადეთ! მე აქედან გიცქერით (ისმის ხმლების წკრიალი და ხმაურობა: „ელეონორას არვის დაუთმობთ“) ყველა სათითაოდ შეებრძოლეთ ასლან გირეის. დაარწმუნეთ, რომ მასზე უფრო თქვენ გცოდნიათ სიყვარულის დაცვა. (ისმის ხმები: „მო-

ვკლავთ—თავს მოგიტანთ“! ისმის ნაღარის ხმა, მას მოყვება კანტა-კუნტათ თოფების ხმა).

**ვახტ.** საბედისწერო წუთები იწყება. (ელეონორა ვით ქანდაკება, ისე დადგება კლდის პირზე და ამაყი გამომეტყველებით გასცქერის იმ მხარისაკენ, საიდანაც ხმაურობა მოისმის. მის სახეზე შიში არ იხატება. სახის ნაკვთთა ნელი მოძრაობა ააშკარავებს მხოლოდ მის სულის მოძრაობას; ადგილიდან კი არ ინძრევა. ვახტანგი გვერდით უდგას, რომელიც შფოთავს და ვერ ისვენებს; სახეს ხან დამანჭავს, ერთ ადგილზე ვერ დგება ლევანი გარინდებული მისჩერებია ელეონორას. გარედან ხმაურობას ემჩნევა, რომ შეტაკება დაიწყო, რომელსაც ელეონორას სახის მოძრაობა გვამცნევს. ხშირად ისმის ხმლების წკრიალი და ნაღარის ხმა).

**ელეონ.** დაიწყო... პირველი გმირის გამოსვლის ნიშანია... აი ასლან გირეი აქეთ იხედება. იქნებ ელის აქამდე მოვა... თორმეტი ვაჟკაცი. . მათი გულის მოძრაობა გარკვევით მეხატება... არც ერთს შიში არ ემჩნევა. ჩემსკენ იხედებიან... დაიწყეს... აჰა! შეებრძოლენ, თითქოს ორი კლდე ერთი მეორეს დაეტაკა.

**ვახტ.** (ვერ ითმენს მიდის, უყურებს) ეხ! ჩვენია, გული გაუგმირეს.

**ელეონ.** კიდევ თერთმეტი დარჩა... ვით ვეფხვები ისე დგანან, რიგს უცდიან... აჰა, კიდევ შეებნენ! . საზიზღარი ასლანი რა სწრაფია.

**ვახტ.** ისიც (პაუზა) იმსხვერპლა.

**ელეონ.** ვერ გაიმარჯვებს! აჰა, კიდე ვით შევარდენი ისე გაიქცა ჩვენი მთიელი. იბრძვიან.

**ვახტ** საშინელებაა! (ლევან ტოკავს. მოდის, უკან დაიხევს).

**ლევ.** კიდე მესამე.

**ვახტ.** ღმერთო!..

**ელეონ.** კიდევ ცხრა არის. შიში არც ერთს არ ეტყობა.

**ვახტ.** (უკან დაიხევს) ახ, ვერ უცქერი, დახოცილებს სახე აქეთ რჩება, ჩვენ გვიყურებს, თითქოს გვწყევლიან. (ღელავს).

**ელეონ** (გატაცებით იხედება) საზიზღარი ათვრად გადაიქცა, კიდევ...

**ვახტ.** მეოთხე... ნუ თუ... ელეონორა!.. ელეონორა...

**ელეონ.** (მივარდება ვახტანგს) მამა, ნუ გეშინია, ვერ გაიმარჯვებენ! ერთიც რომ დარჩეს, მაინც დაამარცხებს ასლანს.

**ლევ.** (მიდის კლდის პირზე) ვით დაჭრილი ლომი ისე იბრძვის, ჩვენები ვერ უძლებენ.

**ელეონ.** ვინ?

**ლევ.** ასლან გირეი. (სიჩუმეა)

**ელეონ.** ლევან, რას შვრებიან?

**ლევ.** ვეღარ ვუძლებ!

**ელეონ.** (მიდის) შევხედო.

**ვახტ.** ელეონორა, ნუ .. ნუ მიდიხარ...(ისმის გარედან ხმები ,,ელეონორა‘‘). ‐

**ელეონ.** მე მეძახიან, ვერ დამინახეს, მკლავი დაუსუსტებათ. (მიდის) ოხ!

**ვახტ.** რა არის?

**ელეონ.** (ლევანს) სად არიან ჩვენები? ერთიღა სჩანს!

**ლევ.** ისღა დარჩა... ზურაბი...

**ვახტ.** ერთი?!

**ელეონ.** არა! იქნებ თვალები მატყუილებს. მამა, შენ...

**ვახტ.** არ შემიძლია, მე ვგრძნობ ასლან გირეი გაიმარჯვებს

**ელეონ.** (მიდის) არა!

**ლევ.** (მიდის კლდის პირზე. თრთოლავს) უკანასკნელი დარჩა ზურაბი.

**ვახტ.** უკანასკნელი?!

**ელეონ.** (მიდის) ლევან! ვინ არის ის აქეთ ხმალ ამოწვდილი რომ მოეშურება.

**ლევ.** (ღელვით) გამარჯვებული ასლან გირეი.

**ვახტ.** გამარჯვებული?!

**ელეონ.** არა! არა! ის ვერ მოვა აქ!

**ლევ** (არეული. გაფითრებული) ელეონორა, ასლან გირეი გამარჯვებას დღესასწაულობს. მითხარი, მე უკანასკნელი ვიქნები!..

**ელეონ.** ის გამარჯვებული!.. (შემოვარდება ასლან გირეი სისხლში მოსვრილი. ხელში ამოღებული ხმალი უჭირავს. მკერდი მძლავრად უცემს, სახე ალეწილი აქვს. როცა ელეონორა დაინახავს, უკან დაიხევს, კანკალებს, მერე წელში გასწორდება და მრისხანეთ მიაჩერდება).

**ასლ.** აჰა! ელეონორა, სისხლით გამოვიკაფე შენსკენ გზა, ბრძოლაში გავლებულ ხმლით, მკერდით ვიმორჩილებ შენს თავს.

**ვახტ.** ნუ თუ...

**ელეონ.** უკან დაიხიე, შენა გგონია გაიმარჯვე!? ნაადრევია... ჩემი სიყვარულით აგზნებული გული კიდევ არ ჩამქრალა!

**ასლ.** ყველანი იქ, უძრავად არიან სისხლიან ველზე. მათი პირველი და უკანასკნელი ძახილი ,,ელეონორა‘‘ იყო. ეხლა მარტო ჩემი გული იძახის შენს სახელს! სხვები ხმალმა განგმირა და აწი მე მემორჩილები.

**ელეონ.** (გაცხარებული) მე შენ გემორჩილები!?.. არა!!.. (ლევანს) მე შენს სახეზე ვამჩნევ, ბრწყინავს სხივები ამაყი მთიელის, რომელსაც დააგვირგვინებს ჩემი სიყვარული.

**ლევ.** მე მზათ ვარ. (თრთოლით).

**ასლ.** (მიაშტერდება) შენ რაღა გინდა?!

**ლევ.** (წელში გასწორდება, ელეონორას შეხედავს, მერე ასლან გირეის თვალებში შეაჩერდება) მოძმეთ სისხლის აღება.

**ასლ.** თუ ელეონორას თავის დასაკუთრება?

**ლევ** (სიბრაზით) ერთიცა და მეორეც.

**ასლ.** მოძმეთ სისხლის აღება გეპატიება, ელეონორას კი არ დაგანებებ.

**ლევ.** ვნახოთ! (ხმალს იძრობს).

**ასლ.** ელეონორა, თორმეტი ვაჟკაცი, როგორც ლომები ისე იბრძოდენ, მაგრამ ჩემი სიყვარული მათ სიყვარულზე მძლავრი გამოდგა და ისინი მე დავხოცე და ეს ხომ არარა არის მათთან შედარებით, გეყოფა სისხლი! ჩემს შურის ძიებაში და სიბრაზეში სიბრალული იკიდებს ფეხს.

**ელეონ.** სიბრალული გამარჯვებულის.

**ვახტ.** სიბრალული.

**ლევ.** ცდები სისხლიანო სახევ!.. ხმალი!.. (შეუტევენ, დაუვლიან დავლურს. ცოტა ხნის ბრძოლის შემდეგ, ლევანი მოხერხებულად დროს უხელთებს და ხანჯალს ჩასცემს გულში).

**ასლ.** (დაეცემა, სახეს ელეონორას მიაპყრობს) დაე, ჩემი სისხლიც შენს კისერზე იყოს ბოროტო ელე-ო ნო-რა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ქვდება. ელეონორა სიხარულით აღფრთოვანებული აირევა. წუთი და ისევ იცვლება, დააჩერდება ასლანის გვამს, შერმეთ ლევანს მიაჩერდება, ხან-ბრძოლის ველისკენ გაიცქერის. ლევანი გაშეშებული დასცქერის გვამს).

**ვახტ.** (მივა ლევანთან) გაქებ, ლევან, რომ მტერი არ გაახარე ჩვენზე.

**ელეონ.** (მოწყვეტით მივა ლევანთან) მე, ღვთის წინაშე, აღთქმა მქონდა მიცემული. ვინც ასლან გირეას მოკლავდა ჩემი ქმარი შეიქნებოდა... წამიყვანე.

**ვახტ.** ელეონორა...

**ლევ.** (ისევ უძრავად სდგას).

**ელეონ.** ვერ გაიგონე ჩემი სიტყვები?

**ლევ.** (გამოერკვევა. შეხედავს ელეონორას) გავიგონე, მაგრამ უარს ვყოფ. (სიჩუმე ჩამოვარდება).

**ელეონ.** ლევან!

**ლევ.** ელეონორა! ქალი, რომელმაც ამდენი გმირი გასწირა თავმოყვარეობისათვის, ქართველის ცოლობის ღირსი არ არის... მე უბედური ვარ, რომ მიყვარხარ; ვიცი. რომ ჩემის გადაწყვეტილებით სიცოცხლეს მოვიწამლავ, მაგრამ შენი ქმარი კი არ გავხდები. (ელეონორა ამ სიტყვების გაგონებაზე ლევანის წინ მუხლებზე დაეცემა) იქით! არ მომეკარო. (ამ დროს შორიდან ისმის კანტი-კუნტად, ყრუ სამარისებური გამოძახილი ,,ელეონორა‘‘... ეს ხმა ფარდის ჩამოშვებამდინ გრძელდება. ელეონორა, როცა ამ ხმას გაიგონებს, რა ქნას არ იცის).

**ელეონ.** (დამფრთხალი სახით და ყრუ ხმით) მამა, ვინ მეძახის?

**ვახტ.** სასიკვდილოდ დაჭრილთა უკანასკნელი ამოძახილია. (მძიმე სევდით).

**ელეონ.** კიდევ იძახიან. ლევან, მე შენი ვარ.

**ლევ.** საზიზღარი ხარ, მაგრამ მაინც მიყვარხარ: მიყვარხარ, მაგრამ სისხლიანი ხარ. ის ძახილი არ არის დაჭრილთა ძახილი... ყური დაუგდე, მასში სალი კლდეთა წყევა-გოდება ისმის თქვენს მომართ... უტყვიც კი ამეტყველდა გმირთა უმანკო სისხლის დაღვრაზე...

**ელეონ.** (მიიხედავს ასლანის გვამისაკენ) ლევან... მამა... ასლანიც იძახის ჩემს სახელს.

**ლევ.** (ყურს უგდებს ხმას) დიახ! ყველა იძახის, წყეულიან... (პაუზა). მეც თქვენთან, ძმებო... ლევანი თქვენს სისხლსა და ძვლებზე ელეონორას ცხოვრების კოშკს არ აუგებს. (გავარდება ხმალ-ამოწვდილი).

**ელეონ.** მამა, ლევანი სად მიდის?!

**ვახტ.** ყველა მოგვშორდა. დაგვწყევლეს.

**ელეონ.** (მიაცქერდება კლდის ნაპირს და ისტერიულად ყვირის) მამა, მამა, ლევანმა ხანჯლით გული გაიგმირა. (შეჰკივლებს, ვახტანგი მივარდება. თმა გაეწეწება, ელეონორა მამას ზურგით მიეყრდნობა და აღეწილი ათრთოლებული სახით ,,ელეონორას‘‘ ძახილის გაგონებაზე. უკან იხევს).

**ელეონ.** (პაუზა) მთები ალაპარაკდენ... დამიხსენით... (მიაჩერდება შეშინებული სახით ასლანის გვამს. ისმის ხმები „ელ-ეეე-ოო-ნოოო-რააა.. “)

**ფ ა რ დ ა ნ ე ლ ა ე შ ვ ე ბ ა**

**ნ. გერგესელი**



# სამგლოვიარო ფურცელი

**ვ. რცხილაძე, ნ ჩხიკვაძე და ს. კლდიაშვილი**

გასულ თვეში ქართულ მწერლობასა და საზოგადოებრივ ცხოვრების კაბადონს სამი სამგლოვიარო ფურცელი მიემატა.

გარდაიცვალნენ მწიგნობარ-მასწავლებელი ვასილ ილ. რცხილაძე, მგოსანი ნოე ჩხიკვაძე და ხუროთმოძღვარი სიმონ კლდიაშვილი.

**ვ ი. რცხილაძე** (   —1920) მწიგნობარ-მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე, გარდაიცვალა აპრ. 17.

ვასილმა სწავლა მიიღო თბ. საოსტატო ინსტიტუში, შემდეგ ორ წელს შვეიცარიაში დაჰყო; საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებისათანავე თბ. სახელოსნო სკოლაში გამწესდა მასწავლებლად (ფიზიკო-მათემათ. საგნ.), შემდეგ ინსპექტორობაც მისცეს; მაგრამ მასწავლებლობას თავი გაანება საზოგადო მოღვაწეობას შეუდგა.

1905 წ. შე დგინა მოხსენება საქართველოს ავტონომიის შესახებ. დაარსა სამეურნეო ჟურნალი „მეურნე“ და საკუთარი ხარჯით, საკუთარი რედაქტორობით სცემდა. დიდი ამაგი დასდო თბ. სახალხო უნივერსიტეტის დაარსებასა (1906 წ. წესდება დაუწერა და მისი პირველი თავმჯდომარე ხელმძღვანელიც იგი იყო) და ქართ. სამეურნეო საზოგადოების შექმნას; მონაწილეობდა მეღვინე მევენახეთა კომიტეტში. სხვადასხვა საქველმოქმედო დაწესებულებაში, მისი თაოსნობით დაარსდა საგარეჯოში საფეიქრო სკოლა, შინამრეწველობის კომიტეტს ხელმძღვანელობდა და სხ.

შეადგინა წიგნი „მცენარენი და ცხოველნი“, არითმეტიკული ამოცანების კრებული,“ სთარგმნა როსკოს ქიმიის სახელმძღვანელო, გამოსცა ბუნების სხვადასხვა მოვლენათა აღწერა და სხ. სხვადასხვა ფსევდონიმებით სწერდა სხვადასხვა გამოცემებში და ცალკე წიგნაკებიც აქვს დაბეჭდილი.

ყველგან ყოველთვის ბეჯითი მოსაქმე, თავგამოდებული მუშაკი იყო.

და თავისი ხალისიანი მუყაითი მუშაობით სხვებშიაც აღვიძებდა ამ მისწრაფებას, რადგან ღრმადა სწამდა, რომ „გოდორში წყალი არ დადგება“ ეს მისი სიტყვებია) ე. ი ვიდრე ჩვენი ქვეყანა არ გამდიდრდება საკუთარი ოფლით შექმნილ დოვლათით, ვიდრე მეცნიერული ცოდნით არ განათდება გონებით ბნელი ხალხი, მანამდე ჩვენი სამშობლო ვერ ამაღლდებაო!..

ჭეშმარიტად რომ ასეა!. და მით უფრო სამწუხარო ვასილის უდროვოდ გარდაცვალება (ჯერ 60 წ არც კი იქნებოდა).

ნეტარ ხსენება ხსოვნასა შენსა ძვირფასო, საყვარელო, ჩემი სიყრმის ერთო კანდელთაგანო, მასწავლებელო და მამულიშვილო ვასილ.

**ნოე ჩხიკვაძე** (1883—1920) მგოსანი, დაიბ. ს. დიდჯიხაიშს 1883 წ. ფოთის საქალაქო სასწავლებელში პირველდაწყ. სწავლის გათავებისთანავე, მოსკოვს შანიავსკის უნივერსიტეტში შევიდა, სადაც ერთ წელიწადს დაჰყო. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სწერდა ლექსებს, ხელოვნების შესახებ წერილებს, პროპაგანდისტობდა კიდეც. ძლიერი იყო, ვითარცა მგოსანი და პროპაგანდისტ—აგიტატორი, ცხოვრობდა ხან ტბილისში (მწერლობდა), ხან სოფლად (მეურნეობას მისდევდა). თანამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომლობდა „ფონში“, „ერთობა-“ში, მის წინაპარ გაზეთებში, . „თეატრი და ცხოვრება-“ში და სხ. სამიოდე წლის წ ნად რამდენიმე ძლიერი მამულიშვილური ლექსი დაბეჭდა გაზ. „საქართველო“-ში, მაგრამ აქ თანამშრომლობას მალე თავი დაანება.. თუმცა რწმენით ს. დ. ეკუთვნოდა, დამოუკიდებელი მოაზროვნე იყო, ეროვნულად მოაზროვნე ს. დ. ჯგუფს უფრო ენათესავებოდა. მისი ნაწერები ცალკე წიგნად გამოვიდა 1908 წ. კრიტიკამ და საზოგადოებამ მოიწონეს. ცოლშვილის პატრონი იყო. ღარიბად ცხოვრობდა. ფილტვების ანთებით სამ გზის ავად გახდა, რამაც გადიტანა კიდეც: გარდაიცვალა მიხეილის საავადმყოფოში მაისის 24. ქართველ მწერალთა კავშირის საბჭოს თაოსნობით დაიკრძალა დიდუბის პანთეონში მაისის 30. ამკობდა ერთი გვირგვინი. სიტყვები წარმოსთქვეს აკ. პაპავამ მწერალთა კავშირის სახელით, დეკ. მირიანაშვილმა, გ. ქუჩიშვილმა, ლევ. ნათაძემ („ერთობა“-ს სა ), იოსებ იმედაშვილმა „თ. და ცხ.“ საზ., ი. გარსევანიშვილმა ი. ირემაშვილმა და ვ. ყიფიანმა. დაესწრო მცირე საზოგადოება და მწერლობის წარმომადგენელნი: — მისმა სიკვდილმა საერთო მწუხარება გამოიწვია. ჩვენი სწორად მოაზროვნე მწერალთა ოჯახის დიდი დანაკლისია, მაგრამ თვისი ნიჭიერი, გულწრფელი ლექსებით მარადის იცოცხლებს ქართველთა მეხსიერებაში.

**ს. გ. ქლდიაშვილი** (1865 – 1920) ხელოვანი — ხუროთმოძღვარი, შვილი მე-60-ე წლების ცნობილ ქართული სცენის მოყვარე ქალის ეფრო ქლდიაშვილისა, დაიბადა ქუთაისს 1865 წ. თბილისის სათავადო ინსტიტუტში. სწავლის დამთავრების შემდეგ მოსკოვის სამხატვრო - აწანაგო და ქანდაკების სასწავლებელში დაასრულა სწავლა და კერძო საქმეებს მიჰყო ხელი კონტორის გუბ. 1896 წ. სოხუმს მიიწვიეს საქალაქო ხუროთმოძღვრად, 1900 წ. ქართ. თავ-აზნ. თბილისს მოიწვია სათ. აზნ. გიმნაზიის შენობის (აწინდელი სახელმწიფო უნივერსიტეტის) გეგმის შესადგენად და აგების მეთვალყურედ. მას შემდეგ თბილისში კერძო საალმშენებლო საქმეებს აწარმოებდა, სოხუმში ააგო სასტუმრო რუსულ ყაიდაზე; საარქიელო კარის ეკლესია. თბილისშ სკოლები, ეკლესიები და სხ. იგი მიმდევარი და თაყვანისმცემელი იყო კლასიკური ყაიდის ხუროთმოძღვრობისა, სხვადასხვა შეჯიბრებაში მიღებული ჰქონდა ჯილდოდ პატარა და დიდი ვერცხლის მედლები. წევრად ირიცხებოდა სახელოვნო საზოგადოებაში და თითქმის ყველა ქართულ საზოგადო დაწესებულებაში მონაწილეობდა.

მტკიცე მამულიშვილი იყო, ნამდვილი ქართველი და მშობლი ერის დიდი გულშემატკივარი.

უქკნობი ხსენება სამშობლოისა და ხალხისათვის მარად მოაზრე — მზრუნველთა ხსოვნას.

**იოსებ არიმათიელი**





**სახელმწიფო თეატრში** სამშაბათს, ივნისის 8, ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქმნა გედევანიშვილის „სინათლე“.

ჩვენს პრესაში ბევრს სწერენ ქართველი მსახიობის მდგომარეობის შესახებ, არის მოთხოვნა, რათა ქართ. დრამატიული ხელოვნების მსახურთადმი მეტი ყურადღება გამოიჩინოს მთავრობამ და სხ. მაგრამ თვით ქართველი მსახიობნი თავიანთი მუშაობით ვერ ქმნიან ისეთ მდგომარეობას, რომ მათ შესახებ დადებითად ილაპარაკო.

სამშაბათის წარმოდგენამ ერთი მინუსი კიდევ დაუსვა მათ მუშაობას, მიუხედავად იმისა, რომ პიესაში მონაწილეობას იღებდენ გუნია, ტასო აბაშიძე, ა. იმედაშვილი და სხ. ბ-ნ გუნიამ პიესის დაწყებიდანვე საუბარი გამართა სუფლიორთან და უსაყვედურა: „კაცო, არაფერი არ ისმისო“, რასაც მოჰყვა სუფლიორის უჩვეულო ყვირილი.

ძველ დამსახურებულ მსახიობ გუნიას არ ეპატიება საზოგადოების აშუქად აგდება, მით უმეტეს მეფე ჯიმშერის როლში. მას ჩვენ არა ერთხელ ვხედავთ და სირცხვილია, რომ კიდევ სუფლიორის მაღალი ძახილისგან იყოს დამოკიდებული. სამაგალითო ერთფეროვანი, უსახო, უხასიათო და უმოქმედო ჯიმშერი მოგვცა გუნიამ.

დედოფლის აღმასრულებელი რომანიშვილი — დგებუაძისა მხარს უჭერდა გუნიას უგრძნობელი შესრულებით. ვერც ერთი მომენტი ვერ შექმნა საყურადღებო. თვით გრძნობიერი ავთანდილი აბაშიძე და მაგარი ნებისყოფა დავრიში ა. იმედაშვილი უხასიათონი იყვნენ და ჩვეულ სიმპატიას ვერ ქმნიდენ.

პიესა სუსტად იყო დადგმული, სცენა ჯოჯოხეთში: აქ ანდრონიკაშვილმა ეშმაკები კი არ მოგვცა, არამედ ეკრანზე მომქმედი ფანტომები. იყო სხვა დეფექტებიც. მასიურ სკენებში არ იყო დაცული სისწორე. გამარჯვებული დარჩა მხოლოდ ფოცხვერაშვილის მუსიკა

№

— —

**ნაძალადევის მუშათა კლუბში** შაბათს, მაისის 8, ოკინის გზ...თა სც მოყვ. წრის მიერ შ. ბერიშვილის რეჟისორობით წარმოდგენილი იქმნა 3 მოქ. პიესა კანოსი და მაზასი „უბედური, ანუ მილიონების კვალდაკვალ“. პიესა ვეო იყო ხეირიანად მომზადებული და თითქმის არც ერთმა სცენის მოყვარემ არ იცოდა ბეჯითად თავისი როლი. კარგი იყო ქ-ნი ლიპარტიანი პატარა მარგარიტას როლში. საოცარ გამბედაობით და მოხდენილად შეასრულა ამ 7—8 წლის ბავშმა მინიჭებული როლი. კარგი იყო ქ-ნი ნ. ბერძენიშვილი ტანჯულ პიეტრის როლში. იგი ერთი იმ სცენის მოყვარეთაგანია, რომელნიც ბეჯითად და გულმოდგინედ მუშაობენ როლის შესწავლა - განსახიერებისათვის. ამ როლში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, არა უშავდა რა ნ. კუტალაძეს მარციალის როლში, სცენაზე რო მეტი გამბედაობა გამოეჩინა, დარწმუნებული ვართ, როლს უკე

ეროვნული

თეთრად ჩაატარებდა. არ არის მოსაწონი ქ-ნი მაჭავარიანის (ანჟელიკა) განუწყვეტლივ სიცილი სცენაზე. უფერული იყო კ. ქათველიშვილი (სანჩო), ალბად იმიტომ, რომ როლი არ იცოდა ხეირიანად. ამ პიესაში მოგვეცა საშუალება გვენახა სცენაზე რეჟისორი ბ. ბერიშვილი (მსაჯული). არ გვაქვს ნება შევეხოთ და გავარჩიოთ მისი სახიობა, რადგან, როგორც გავიგეთ, იგი შემთხვევით გამოვიდა ამ როლში. დანარჩენნი ანსამბლს ხელს უწყობდენ. უამინდობისა გამო წარმოდგენას ხალხი ნაკლებად დაესწრო. წარმოდგენა გამართული იქმნა ძველ შენობაში, მიუხედავად იმისა, რომ ახალი თეატრი უკვე მზად არის და გაიხსნა კიდეც 1 მაისს.

— კვირას მაისის 9 იგივე პიესა დადგმულ იქმნა დემოკრატიულ კლუბ მუშტაიდში. პიესის შესრულება გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე ნაძალადევში.

**გუ—ლი**

---

**მუშტაიდის კლუბში** ივნ. 3 მსახიობ ნ. მამულაიშვილის მონაწილეობით, სცენის მოყვარეებმა დასდგეს კ. ფოცხვერაშვილის კომედია „აშენდა საქართველო“ და 1 მოქ. ვოდევილი „უბედური დებიუტი“. ეს პიესა ბ. ფოცხვერაშვილს აღებული აქვს ქართველ სტუდენტების ცხოვრებიდან. ბ. ფოცხვერაშვილი მიწასთან ასწორებს ჩვენს სტუდენტობას. მას იქამდის მიყავს ქართველი სტუდენტი, რომ საქართველოში დაბადებული და აღზრდილი ახალგაზდა არ იცნობს ილ. ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს და ამ ორ დიდებული პოეტების სახელს ერთი მეორეში ურევს. აღმსრულებელთა შორის აღსანიშნავია ან. კაციაშვილი, რომელმაც გააცოცხლა და სული ჩაუდგა ქართველ სტუდენტების მასწავლებელს იმერელ ივანიკას. კარგი იყო მს ხიობი მამულაიშვილიც სტ. გიგას როლში. დანარჩენებიც შეძლებისდაგვარად ანსამბლს ხელს უწყობდენ.

**ტენორი**

---

**ტობანიერის თემის** (ქუთ. მაზ.) სახალხო წარმოდგენების მმართველმა დოამ. წრემ უკვე მოაწყო ახლად აშენებული სახალხო სახლში საზაფხულო წარმოდგენების სეზონი. 23 მაისს წარმოადგინეს „და ძმა“. მონაწილეობდენ ყველა ადგილობრივი სცენის მოყვარენი. საერთოდ ხალისი თამაშის და მონდომება როლების შესწავლის ყველას ემჩნეოდა. უკვე მოვიშორეთ თავიდან ის უხერხულებანი, რომელსაც წარსულ წლებში განვიცდიდით უსახლობის გამო. დღეს მშვენივრად მორთულ სრულ სცენაზე ყველა სცენის მოყვარეს ეხალისება თამაში და სრულ დარბაზში კი დასწრება და სმენა საზოგადოებას. ვუსურვებ ამ სოფლის მუშაკებს დაუღალავ ენერგიას მომავლისთვის და საზოგადოებას კი მეტ თანაგრძნობას, რომ ერთმაც და მეორემაც ხელი შეუწყონ ხელოვნების აყვავებას.

**ს. სულაბერიძე**

---

**თერჯოლის თემის** ს. თერჯოლაში ორი თვეა, რაც სცენის მოყვარენი შეიკრიბნენ და დრამატიული წრე დაარსეს. წრემ აირჩია გამგეობა: ნ. ერისთავი (თავმჯ.) მიტროდორა თევდორაძისა, შუშანა მხეიძე, დ. ჯულელი და ნეს. ჩაფიძე (მდივ.) სარევიზიო კომისია: გალინა ქოჩიაშვილი, გიორგი ქავთარაძე, მათე მაკარიძე, დულა სალაძე და ვლად. ნემსიწვერიძე. წრემ რეჟისორად აირჩია გამოცდილი მოთამაშე დავით ჯულელი (დ. ჯულელი არაერთხელ გამოსულა სცენაზე და ყოველთვის გამარჯვებული დარჩენილა). წრის მიზანია მართოს სა[illegible] შეიტანოს მდაბიო ხალხში განვითარება და შემოსულ ფულიდან გაუწიოს დახმარება საზოგადოებას. ამ მიზნით აპრილის 17 ს. თერჯოლის 2 კლ. სკოლის შენობაში, ადგილობრივ ფოსტის სასარგებლოდ წარმოდგენილ იქმნა „ნამუსიანი ხალხი“, „სტუმარ-მასპინძლობა“ და „ადამ და ევა“. დიდძალი საზოგადოება მოაწყდა საღამოს. ორი დიდი ოთახი გახსნილი იყო, მაგრამ ხალხი მაინც არ ეტია. სიმართლე უნდა ითქვას თერჯოლის თემის მცხოვრებნი დიდათ დაინტერესებულნი არიან წარმოდგენებით და მე ვფიქრობ, რომ ახლო მომავალში ააგებენ სცენისათვის შენობას. „სტუმარ მასპინძლობაში“ (ტ. რამიშვილისა) მონაწილეობდნენ: გალინა ქოჩიაშვილი (მამიდა), ვლად. მურადაშვილი (ალექსი), ვლად. ნემსიწვერიძე (ნიკიფორე ატაკუტა) ნესტორ ჩაფიძე, იოსებ ძიძიშვილი (ბეჟიკო), გოვუცა ქავთარაძე (ნუცა), ბაჭია ჯანელიძე (ოთარ გობრონიძე) ტოშია კროჭი (არიმანი) ანიკო მხეიძე (დარო) და გურგენიძე ვარენკა (სიდიდრი).

ხალხის ყურადღებას იპყრობდა გალინა ქოჩიაშვილი: საუცხოვო აღსრულებისთვის მრავალჯერ იყო დაჯილდოვებული ტაშის ცემით. კარგი იყო აგრეთვე: იოსებ ძიძიშვილი, ვლ. ნემსიწვერიძე და ბაჭია ჯანელიძე. „ნამუსიან ხალხში“ (იოსებ იმედაშვილისა) კარგათ ითამაშეს ტოშია კროჭმა და იოსებ ძიძიშვილმა (დეზერტირი). „ადამ და ევაში“ კარგათ თამაშობდა ვლად. ნემსიწვერიძე (ივანიკას როლში). საერთოდ საღამომ კარგათ ჩაიარა და საზოგადოება ნასიამოვნები დაიშალა. დიდი ღვაწლი მიუძღვის დავით ჯულელს. ის ასრულებდა, როგორც რეჟისორობის მოვალეობას, ისე სცენარიუსისას. წმინდა შემოსავალი დარჩა 6000 მ. რაც გადაეცა ადგილობრივ ფოსტის მოსაწყობათ.

**ვ. გუთნურისპირელი**

---

**ქ. ზუგდიდში** მაისის 28 ფრონტის დღის სასარგებლოდ გაიმართა წარმოდგენა დემოკრატიულ კლუბში. წარმოდგენილი იქნა „ორი მშიერი“ და ერთი რუსული კომედიაც. პირველი პიესაში მონაწილეობდენ: 1) ბ-ნ ტ. ლატარია (დანტე), მეპ. მეუნარგია (ფრანსუა) და ირ. ბოხუა (კაკული). მეორეში მეტი წილი რუსობა იღებდა მონაწილეობას, რომელთა სახელ-გვარი, სამწუხაროდ, არ ვიცი. ორივე კომედია კარგად იქნა შესრულებული და ხალხიც კმაყოფილი წავიდა. თუმცა როლის უცოდინარობა ემჩნეოდათ. განსაკუთრებით პირველ პიესის მოთამაშეთ, პიესა მაინც კარგად ჩაატარეს, რაიც მიეწერება ამ ამხანაგების ნიჭს და დიდი ხნის გამოცდილებას. მათ შესძლეს თავისებურობის გამოჩენა ტიპების სრული განსახიერებით. ლამაზი გამოდგა აგრეთვე მათ მიერ „ვაი-ვუის“ ხმაზე ნამღერი ლექსები. იმედია კიდევ უფრო ინტენსიურად დაიწყებენ მუშაობას და ღირსეულად გამოიჩენენ თავიანთ ნიჭს და გამოცდილებას.

**ვ. მასკურელი.**

---

**ველისციხეში** აპრ. 18 სცენის მოყვარეთა წრემ წარმოადგინა „დასჯილნი“ და „საცოლე ერთი საათით“. როგორც ყოველთვის ახლაც უნაკლულონი იყვნენ ქ-ნი ელ. ამირანიძე, ბ-ნი გ. ბეჟანოვი და გ. ბეჟანიშვილი, რომელიც მომავალში უეჭველია სცენის ბურჯად გადიქცევა. დანარჩენნიც ანსამბლს ხელს უწყობდნენ.

**აქეთ-იქით**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არტისტიულ საზოგადოების თეატრი

## 1910—X—1920

**კვირას 13 ივნისს**

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს ათი წლის არსებობის აღსანიშნავად გაიმართება

# საზეიმო საღამო

## პროფ. ს. ავალიანი

სიტყვა:

ხელოვნების აღორძინება

## ალეგის ცეკვა

დრამატიული ეტიუდი 1 სურ. იოსებ იმედაშვილისა

## რედაქციაში

შარჟი 1 სურ. ს. წერეთლისა

## პოეზია

ი. გრიშაშვილი, გ. ქუჩიშვილი, ვ. რუხაძე, შ. დ. ახვლედიანი, ს. ერთაწმინდელი (შამილის ლოცვა), დ. ჰანჰათელი, ა. ავალიანი და ნ. რიჟამაძე.

## მუსიკა

ქართულ საოპერო სტუდიის სოლისტები ქ-ნი ფავლენიშვილის ასული, ბ-ნი აკოფაშვილი, ორჯონიკიძე და სხ. შეასრულებენ არიებს და დუეტებს შემდეგ ოპერებიდანა:

ა) „თქმულება შოთა რუსთაველზე“, მუსიკა არაყიშვილისა;

ბ) „თამარ ცბიერი“, მუსიკა მ. ბალანჩივაძისა;

გ) „ქეთო და კოტე“, მუსიკა ვ. დოლიძისა;

დ) „ქრისტინე“, მუსიკა რ. გოგნიაშვილისა;

ე) „ღალატი“, მუსიკა იპოლიტ-ივანოვისა.

აგრეთვე შეასრულებენ ყარაშვილის, იპოლიტ-ივანოვის, ია კარგარეთლის, და ფოცხვერაშვილის რომანსებს.

## დები თარხნიშვილების

მომღერალთა ჯგუფი იმღერებს ძველ ქართულ-კახურ ეროვნულ სიმღერებს მოცეკვავე — ნინო წერეთელი, თარი — მ. დევაძე, როიალი — გოლდმანის. პიესებს დასდგავს მსახიობი ვ. მატარაძე. პიესებში მონაწ.: ქ-ნი ივერიელი, ა. ავალიანი, ნ. წერეთელი; ბ-ნი: ვ. მატარაძე, [illegible] რიჟამაძე, ი. ილორელი, გიგოშვილი, ორჯონიკიძე, ს. წერეთელი.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში [illegible] დასაწყისი საღამოს 8 საათზე. გამგე ვ. ავალიანი.

მარქსის სახ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

რედაქტორი იოსებ იმედაშვილი

გამომცემელი ქართული ბეჭდვითი ამხანაგობა